

ამწის მემანქანე 040775
პროფესიული სტანდარტი

I სფეროს აღწერა:

ამწის მემანქანის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კოშკურა, ხიდურა, ჯოჯგინა, პორტალური, საავტომობილო და საავტომობილო ტიპის შასიზე დამონტაჟებული მობილური ამწეების, მუხლუხა სავალი მოწყობილობის მქონე და სარკინიგზო ამწეების მართვა, რომლებიც ემსახურებიან სამრეწველო, სამოქალაქო და სპეციალური დანიშნულების ტვირთების დატვირთვა-განტვირთვას სატრანსპორტო საშუალებებიდან – ავტომობილებიდან, სარკინიგზო ვაგონებიდან, გემებიდან და თვითმფრინავებიდან; ტვირთების მიწოდებას სიმაღლეზე ან ჩამოღებას სიმაღლიდან; ამწე მექანიზმის გადაწვდომის ფარგლებში ტვირთების გადაადგილებას ტერიტორიაზე; ტვირთების გადაადგილებას სამშენებლო ობიექტების, საწარმოო საამქროების, სასაწყობო მეურნეობის ტერიტორიის ფარგლებში. ასევე ამწის მემანქანე მართავს სპეციალურ ამწე-სატრანსპორტო საშუალებებს – შახტურ ამწეებს, კაბელ-ამწეებს და სხვა, რომლებიც ემსახურებიან სასარგებლო წიაღისეულის ამოღებას მიწისქვეშა შახტებიდან, ღია კარიერებიდან, გადაადგილებენ ტვირთებს სამთო-გამამდიდრებელი საწარმოების ტერიტორიის ფარგლებში ამწის მემანქანის პროფესია ემსახურება ადამიანის საქმიანობის ძალიან ვრცელ და ნაირფეროვან არეალს.

II დასაქმების სფერო:

ამწის მემანქანე – არის სპეციალისტი, რომელიც ემსახურება ამწე-სატრანსპორტო მანქანებსა და მექანიზმებს სამოქალაქო და სამრეწველო, საგზაო, სარკინიგზო და ჰიდროტექნიკური მშენებლობის ორგანიზაციებში, აერო- და საზღვაო პორტებში, სატვირთო-საკონტეინერო ტერმინალებში, გადამზიდავ ორგანიზაციებში და სხვა. ამწის მემანქანე ასევე არის სპეციალისტი, რომელიც მართავს ამწე-სატრანსპორტო საშუალებებს მიწისქვეშა მადაროებში და შახტებში, სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერებში, სამთო-გამამდიდრებელ საწარმოებში.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია:

ამწის მემანქანის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი და ამ საფეხურისათვის, ამწეების ტიპების მიხედვით, შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი ტიპის ამწის მემანქანის მესამე დონის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ამწის მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მ ი ნ ი მ უ მ 30 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%.
ენიჭება შესაბამისი ტიპის ამწის მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ამწის მემანქანის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>აქვს სპეციალობის შესაბამისი ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და მათი კვანძების სტრუქტურული აგებულების ცოდნა. იცის ამწის მომსახურების ან შეკეთების მარტივი სამუშაოების ჩატარების ტექნოლოგია და წესები. აქვს სპეციალობის შესაბამისი ამწე-სატრანსპორტო მანქანებით ტვირთების დატვირთვა-განტვირთვის და გადაადგილების ტექნოლოგიისა და წესების ცოდნა. ამწის მიერ მომსახურებულ ობიექტზე ან ტერიტორიაზე სხვა პერსონალთან ურთიერთობის, საერთაშორისოდ აღიარებული, პირობითი ვიზუალური და ხმოვანი სიგნალების, ქვსტების ცოდნა. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი და, ამწე-სატრანსპორტო მანქანების მუშაობისას სავალდებულო, სპეციალური ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს საწარმოო დავალებები ტვირთების გადაადგილების სიზუსტისა და უსაფრთხოების დაცვით. ამწე-სატრანსპორტო მანქანაზე შეასრულოს მარტივი მომსახურებები და სარემონტო სამუშაოები. ზედმეტი ახსნა-განმარტებების გარეშე დაიცვას ტვირთების გადაადგილების ტექნოლოგია და თანმიმდევრობა. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი და, ამწე-სატრანსპორტო მანქანების მუშაობისას სავალდებულო, სპეციალური ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად სიტუაციების სწრაფად შეფასება და გაანალიზება, გადაწყვეტილებების მიღება ტვირთების უსაფრთხოდ და დანიშნულებისამებრ ზუსტად გადასატანად.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, ანალიზი და გაზიარება. შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის, ტვირთების გადაადგილების ტექნოლოგიური სქემების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს, თავისი სპეციალობის შესაბამისი, ამწეების ახალი თანამედროვე მოდელები.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	ზოგადი მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა. მანქანების ექსპლუატაციისა და მომსახურების სფეროში ტექნიკური ნორმების დაცვა. პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. პატივისცემა თანამშრომლების შრომის მიმართ. უფრთხილდება სამუშაო გარემოს.